ხელშეკრულება № 44

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

05 ნოემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N 141 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინე სამუშია სახით და მეორეს მხრივ, შპს ელექტრონი (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორი მალხაზი გოგატიშვილი სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ვაუჩერული დაფინანსებით დენის მარეგულირებელი შესაძენად CPV31161900 შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 1450 (ერთიათასოთხასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი,დ.გურამიშვილის 14ა).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების გაუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე. 31/12/2018

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ - ქალაქ თბილისის № 141 საჯარო სკოლა
ს/კ 200007679
მის: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის 14ა
ტელ: 2613047

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GGEE08LB0121185641835000

დირექტორი

(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს ელექტრონი
ს/კ 205048330
მის.: აღმაშენებლის გამზ ტელ: 2518354

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი MIBGGE22
ა/ა GE54PC0133600100051346

დირექტორი

(ხელმოწერა) ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	cpv	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	დენის მარეგულირებელი	31161900	ცალი	1	1450	1450
სულ ღირებულება						1450

სსიპ - ქალაქ თბილისის № 141 საჯარო
სკოლის დირექტორი

/----------/

შპს ელექტრონი
დირექტორი
/სახელი,გვარი/

"----------"

მიღება –ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი

06/11 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქ.თბილისის №141 საჯარო სკოლის დირექტორის მ.სამუშიას და მეორეს მპს ელექტრონი ვადასტურებთ, რომ 2018წ. 06/11 ხელშეკრულება №44 საფუძველზე შევიძინეთ დენის მარეგულირებელს რომლის ღირებულება შეადგენს 1450,00

„მიმწოდებელი"

„შემსყიდველი"

დანართი №III-15
ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

დადასტურებული 06/11/2018 11:46

1	ფა-11 0227871

3	ნოემბერი	2018

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	06	ნოემბერი	2018

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	2	0	5	0	4	8	3	3	0		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს ელექტრონი

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	0	0	0	0	7	6	7	9		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლა

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის: დღგ-ს თანხა	მათ შორის: აქციზის თანხა
ძაბვის მარეგულირებელი 15kva ერთფაზა	ცალი	1,0000	1450,0000	221,1900	0,0000
		სულ	1450	221,19	0

7	სასაქონლო ზედნადების No: 0413883203	8	თარიღი: 06 - ნოემბერი - 2018 09:30

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა______________________ ბ.ა.

მყიდველის ჩაბარება ხელზე

ხელმოწერა______________________ ბ.ა.

11/6/2018

ლიბერთი ბანკი

LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #:	8539	GEL
თარიღი:	2018 წლის 06 11, სამშაბათი	GEL 1450.00 თანხა სიტყვიერად
გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლა	
ანგარიში (დებეტი):	GE08LB0121185641835000	
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	
ბანკის კოდი:	LBRTGE22	ერთი ათას ოთხას ორმოცდაათი GEL და 00
გადასახადის გადამხდელის დასახელება:		
საიდენტიფიკაციო კოდი:		
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:		
მიმღების დასახელება:	შპს ელექტრონი	ბანკის აღნიშვნები
საიდენტიფიკაციო კოდი:		ბანკში შემოსვლის თარიღი: 06.11.2018
ანგარიში (კრედიტი):	GE54PC0133600100051346	
მიმღების ბანკი:	სს "პროკრედიტ ბანკი"	
ბანკის კოდი:	MIBGGE22	
გადახდის დანიშნულება:	დენის მარეგულირებელი	ხელმოწერა:
ხელმოწერა:		

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ლიბერთი ბანკი

LIBERTY BANK

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

თბილისი 05 ნოემბერი 2018 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სკოლისათვის მოხდა დენის მარეგულირებლის შესყიდვა დაკავშირებით შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, შპს ელექტრონთან მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ ქალაქ თბილისის №141
საჯარო სკოლის დირექტორი /მარინე სამუშია/

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი: /ხ.თანდილაშვილი/